rogor Seafasa levan dadianis politikuri moRvaveoba qarTvelma istorikoma _ ilia anTelavam:

`odiSis samTavros samxedro-politikuri Sesazleblobebi ukiduresad daeca. levan dadians aravin darCenia iseTi, romelic mas emsgavseboda, rogorc organizatori. sruliad moiSala misi RonisZiebiT Seqmnili ruxis `qalaqi`. aq mosaxle somexi da ebraeli vaWrebi imereTs gadabargdnen. odiSis samTavros magaliTze TvalnaTliv Cans, Tu raoden unayofoa qveynis mmarTvelis RonisZiebebi, Tu mas dro da pirobebi ar uwyoben xels. marcxIT damTavrdan levan II dadianis mcdelobebi samTavros ekonomikuri da politikuri ganviTarebisTvis. udReuri aRmoCnda misi miswrafeba dasavleT saqarTvelos gaerTianebsken. arc erTi es RonisZieba ar warmoadgenda qveynis Sinagani Zalebis ganviTarebis Sedegs. amitomac xelovnuri aRmoCnda da levan II dadianis gardacvalebisTanave gaqra. sicocxlisunariani aRmoCnda mxolod misi mcdeloba kulturis dargSi, romelsac erovnuli mniSvneloba hqonda.`

yvela cxovrebaSi kraxi ganicada samegrelos mTavarma _ pirad cxovrebaSi, sazogado cxovrebaSi da sulier cxovrebaSi.

piradi cxovreba misi axlobeli adamianebis tragediebiT iyo mofeniili. yvela ubeduri iyo mis garSemo.

sazogado cxovreba misi erTi patara samTavros Tundac Wkvianurad da moxerxebulad, magram mainc xelovnurad gazrda-gafarToebas mouna. mxolod mteri xarobda misi saqmianobiT, radgan SinaomebiT qveyana sustdeboda. is, rac qveynisTvis ubedureba iyo, imas mteri gamarjvebad da Zlevamosilebad saxavda. misi sikvdilis Semdeg misi samTavros Zlierebac erTbaSad dairva.

sulier cxovrebas misas aTasi `Wiri` RrRnida; umozRvrod, uwinamZRvrod misi religiuri grZnobebi sruliad deformirebuli iyo. Tavd sarwmunoebiv umecrebaSi myofs samTavroc am mdgomareobaSi hyavda. TiTqos Turqebis agresiiigan Tavisi moqniili politikIT Tavs icavda, samagierod iseTi karebi hqonda gaxsnili, yvelaze ukeT rom unda daeketa, radgan iqidan yvelaze didi gansacdeli Semodioda qveyanaSi.

radgan sarwmunoebiv sakiTxebsi ver erkveoda da amave dros mZime codvebSi idga, Tavisi religiuri grZnobebs gamosaxatavad sxva asparezs irgebda. ase SemorCa misi saxeli saswaulmoqmedi xatebis Sesawirav wignebs, Zvirfas perangebs, ierusalimis jvris monastris istorias.

is, rom sicocxlis bolosac ar `modga` dadiani, amas mowmobs misi bolo RonisZieba _ man samegrelos samTavros kaTalikos-patriarqad daadgina nikifore irbaxi, anu padre nikola, rogorc mas kaTolike misionerebi eZaxdnen. sabediswero aRmoCnda erTi wiis patriarqoba nikifore irbaxisaTvis. dadianis sikvdilis Semdeg igi vamey lipartianma Seipyro da sapyrobileSi Caamwyvdia. rogorc istoria gvamcnobs, nikifores SeuCvenebia axali mTavari da manac Suri iZia masze. nikifore irbaxi yvelasagan miusafari sapyrobileSi gardaicvala.

da mainc, ra fenomeni iyo dadianis qveynis patroni, raSi mdgomareobda misi, rogorc pirovnebis, tragedia?

ar hqonda marTali sarwmunoeba da ar hqonda marTali saqme, Tumca ki mTeli samegrelo saogromWedlo saxelosnoebiT hqonda mofeniili Zvirfasi saeklesio nivTebisa da saswaulmoqmedi xatebisaTvis Sesawiravi perangebis dasamzadeblad. aravin aRmoaCnda gverdiT, romelic petre mRvdeliviT etyoda (es sityvebi Tavis droze petre mRvdelma vaxtang gorgasals uTxra): `ara mnebavs Seni, raTa iyo viTarca kaci, romel marjveniT iqm da marcxenIT arRvev... aramed viTarca mefeni keTilad xsenebulni, romelTa daipyres soveli ese da sasufvelsa ara ganeSornes`.

cxovrebas dadianisas, suliersa Tu fizikurs, sarwmunoebiv cdomilebaTa iseTi bade Semoxveoda, romelSi mis sasikeTo nebas gaSla da gaxareba ar ewera. es iyo namdvili tragedia.

2005 w.

აქა მოძებნის მესტორიე წახდენისა მიზეზსა

ყველა ქვეყანას თავისი მფარველი წმიდანი ჰყავს. ყველა მართლმადიდებელი ქვეყნის უკანასკნელი მეფე ღვთის განგებით ქვეყნის მფარველი წმიდანის სახელს ატარებს.

*ბიზანტიის იმპერიის მფარველი წმ. კონსტანტინე იყო.

უკანასკნელ იმპერატორს ბიზანტიისას კონსტანტინე ერქვა.

*რუსეთის იმპერიას წმ. ნიკოლოზი მფარველობდა.

უკანასკნელ იმპერატორს რუსეთისას ნიკოლოზი ერქვა.

*ბულგარეთის მფარველი წმიდა ბორისია.

ბულგარეთის უკანასკნელ მეფეს ბორისი ერქვა.

*სერბეთის მფარველი წმიდა საბაა.

სერბეთის უკანასკნელ მეფეს საბა ერქვა.

*საქართველოს მფარველი წმიდა გიორგია.

საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი ერქვა.

არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებიდან

შენ მოწამეთა შორის მხნესა და ღვაწლით შემოსილსა, უძლეველს მთავარმოწამესა წმიდასა გიორგის შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ბარძიმი ესე მე ყოვლად უღირსმან და ცოდვილმან ბატონიშვილმან გიორგიმ, რათა მეონ მექმნა საშინელსა მას მეორედ მოსვლასა ქრისტესა მეუფისასა. ამინ 1768“

უკანასკნელი მეფე საქართველოსი გიორგი XII დაიბადება 1746 წლის 10 (23) ნოემბერს, არც ერთი დღით ადრე და არც ერთი დღით გვიან, ზუსტად 10 ნოემბერს ანუ გიორგობა დღეს. რომ არა ეს დღე, შეიძლება მისთვის გიორგი არც დაერქმიათ; ასე განისაზღვრა ღვთის განგებით საქართველოს უკანასკნელი მეფის სახელი და გადაიშალა კიდევ უკანასკნელი ფურცელი ქართველ ბაგრატიონთა მეფობის ისტორიისა; ბევრი რამ უნდა ეწეროს ამ ფურცელზე, ბევრი რამ საგულსხმო უნდა იყოს შერჩენილი მასზე.

საგანგებოდ აღინიშნება უფლისწულ გიორგის დაბადება: დიდალი შესაწირავი გაიკა მის სახელზე; იმთავითვე დაიდო ზეცაში საუნჯე, რომელსაც არც ჩრდილი შეჭამდა, არც მატლი გამონრავდა და არც მპარავი მიეახლებოდა...

ცხრა დღის შემდეგ, 19 ნოემბერს, წმიდა ილარიონ ქართველის ხსენების დღეს, უფლისწული გიორგი მოინათლა. მოინათლა არა სასახლეში, არა სვეტიცხოველში, უფლის წმინდა კვართის სამყოფელში, არამედ წმიდა გიორგის სახელობის კარის მცირე ეკლესიაში...

...წმინდა ემბაზთან ჩვილ უფლისწულს თრი მღვდელმთავარი დასტრიალებს თავს: ერთი კათოლიკოსი ანტონ პირველია, მეორე – არქიეპისკოპოსი ნინოწმინდელი საბა, ცხრა წლის თავზე ისინი ერთმანეთის მტრები შეიქნებიან – ერთი მეორეს სარწმუნოებრივ დალატში ამხელს. ანტონი სულ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე კათოლიკოსია. ბრწყინვალე გონებისა და ნიჭის პატრონი, სამეფო ტახტის სამუდამო დაკარგვის ყრუ ტყივილითა და ახალი სარბიელის პატივით გაყურებული; ყველას უყვარს, ყველა პატივს სცემს, ყველა აღტაცებულია მისით, ყველა ენდობა, ყველა მისდევს, საგანგებოდ უყვარს ბიძასა და ბიძაშვილს, თეიმურაზსა და ერეკლეს; სომეხთა სარწმუნოების განსაქიქებლად სქოლასტიკური წიგნების წაკითხვა მთუწვეს; სომეხებს კი „გადაწვდება“, მაგრამ საკუთარ თავს ვეღარ „გადაანტება“; სქოლასტიკური აზროვნება თავად ჩააგლებს ბრწყინვალს; წმიდა გრიგოლ ხანძთელის მსგავსად სოფლის ფილოსოფოსთა სიბრძნეთაგან მხოლოდ კუთილი სიტყვის შეწყნარებასა და „ჯერკუალის“ განგდებას ვერ შეძლებს, გულს კათოლიციზმის დოქტრინა დაუტყვევებს, მისი მოძღვრება მის ზომზეზურსა და პატივმოყვარე ბუნებას მონიბლავს და ანტონი ფარული კათოლიკე შეიქნება; როდემდე იქნებოდა იგი ფარული კათოლიკე? რა ჰქონდა მიზნად?

სწორედ ნინოწმინდელი საბა შეუტყობს დალატს...

ანტონს ამხელენ და საქართველოდან განდევნიან. თავზარდამცეში აღმოჩნდება მისი საქციელი ბიძისათვის, თეიმურაზ მეორისთვის, ბიძაშვილიც ერეკლეც, დიდად შეწუნდება, მაგრამ უფრო მასთან განშორება დაამწუნებს. ფიციც დაიდება: „უკეთუ რომელიმე მიზეზთა ესე აღთქმული შეგცვალოთ და კუალად მისი კათოლიკოსად დადგინება მოვინდომოთ, რისხვასამცა შეგცვალოთ წმიდასა და ერთ არსისა სამებისა და ყოველთ მგმობართათანა დაიწესების ცხოვრება ჩვენი და წმიდათა დიდთა მსოფლიოთა კრებათაგან სგებულად შეჩვენებითაც აღვიხიოცებით“.

ორი მეფისა და ერთი უფლისწულის ბეჭდით დაიბეჭდება ეს ფიცი.

მაინც დააბრუნებენ!.. თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ერეკლე სასწრაფოდ დაუბრუნებს ანტონს საკათოლიკოსო ტახტს, ამის თაობაზე კიდევ იკითხავენ რუსეთის საიმპერატორო კარზე, ერეკლე კათოლიკოსობისაკენ ხომ არ არის მიდრეკილიო?!

შემოდგამს თუ არა რუსეთიდან დაბრუნებული ანტონი ფენს საქართველოში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის გუმბათის მენი დაეცემა, მაგრამ ვერ დააზიანებს. არ შეიძლება ავის ნიშნად არ მიეღოთ, ბევრი გულისხმაყოფიდა, მაგრამ მალევე დაივიწყებენ; მხოლოდ ერთი კაცი იქნება ფინჯლად, მხოლოდ მისი მოტყუება შეიქნება შეუძლებელი. მხოლოდ ის ერთი იქნება მტკიცე დარაჯი სარწმუნოებრივი მთლიანობისა.

...გასალკვებელი აღუდგება მეფეთმოდგარი ზაქარია გაბაშვილი ქვეყნის დასაღუპად ჩამოსულ, უკვე ინკვიზიციის ხენით შეპყრობილ კათოლიკოსს წინ, მაგრამ ვეღარაფერს გახდება, ქართველთა სარწმუნოებრივი გულგრილობა ყველა მიწიერ გამარჯვებას მთუტანს კათოლიციზმის დოქტრინით მოწამლულ ანტონ I. ზაქარია გაბაშვილი კი აღმსარებლის გვირგვინს დაიდგამს თავზე. სულის აღწოდებისას კი ზეციდან მოისმენს – „მართალოთათვის აღთქმული პატივი და დიდება აჰა აქა არისო“...

ანტონ კათოლიკოსს საქართველოში უკან შემოტყუება მასთან ერთად განდევნილი კათოლიკეთა მისიონი თავისი ვერაგული გეგმებით, რომელთა დამწლელიც აღარაგინ იქნება ქვეყანაში. მხოლოდ

აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა დაშლის ამ გეგმებს. ამის შესახებ კათოლიკეთა ქომაგი საქართველოში, თავად კათოლიკე მიქაელ თამარაშვილი, დაწერს: „1795 წელს აღა-მაჰმად ხანის მრისხანე არმიამ საქართველო ააოხრა და იავარყო ქალაქი თბილისი. მისიონერთა ეკლესია და საცხოვრებელი მთლიანად მოსპო. კათოლიკებს და სხვა მცხოვრებლებს ყველაფერი ჩამოართვეს და გაჟლიტეს, ხოლო ცოცხლად დარჩენილი ტყვედ წაასხეს. ასე უცებ იქნა განადგურებული მისიონერთა ამდენი შრომით მიღებული ნაყოფი“.

იმას, რასაც ვერ შეძლებს ქართველთა სარწმუნოებრივი გულგრილობა, ღვთის დაშვებით, ისლამის განურჩეველი სიძულვილი მოახერხებს... იერუსალიმსა და ათონზეც ერთმანეთის მიყოლებით დაკარგავენ ქართველები წმიდა საგანეებს.

ამბროსი ნეკრესელის მოთქმაში ზარვით რეკს ერეკლე მეფის სიტყვები: „ჭეშმარიტად გაიკვირებულ ვართ, თუ არ ჩემი ცოდვათ, თორემ რისგან არის! ვისიც მოყვრობა მოგინდომე, მტრად გადამიქცათ. თუ გასამრჯელოს გზაზე დაგდეგ და იმედი დაგიდეთ, სწორედ დაჯერებით, ეს არის გამეძარჯვებათ, იქ დამიმარცხდება და გავთავადებით?! ეს ჩემი ცოდვისა და ჩვენი ქვეყნის უბედურება არის, გაიკვირებულ ვართ“... გაიკვირვებს ერეკლე და გაიკვირვებს მასთან ერთად მთელი ერი და სამღვდლოება, მაგრამ ორმოცი წლის წინ დადებული ფიცის გატეხვას მაინც არავინ გაიხსენებს, არც სვეტიცხოვლის ტაძრის გუმბათზე დატეხილი მენისას იტყვის ვინმე. ამიტომაც ფიცის სიტყვისამებრ, „წმიდისა და ერთანისა სამებისა რისხვასამცა შეცვივიან“ ქართველები...

...მერე დაიხოქებს დამარცხებული მეფე აბო თბილელის ნიშთან და მწარედ იტირებს, მაგრამ ყველაფერი გვიან იქნება... ამბროსი ნეკრესელი კი კიდევ ერთხელ შეჰპოვებს: „გაი, რა ცოდვა დათესილ არს ჩვენში და გაი, რა უგულისმობის შაგა და ბნელს ღრუბელს დაუბნელებია ჩვენი გონებათ“, და რომ ვერ მიაგნებენ „დათესილს“, ვერ დაინახავენ და ვერ გულისხმაცოფენ, საქართველო სახელმწიფოებრივ ძალაუფლებასაც დაკარგავს და ეკლესიის ავტოკეფალიასაც... მაგრამ ეს ყველაფერი ნახევარი საუკუნის შემდეგ იქნება... ჯერ კი მხოლოდ წმიდა გიორგის მცირე ეკლესიაში სახეიმო ხალხმრავლობაა, წმიდა ემბაზთან ჩვილ უფლისწულს თავს ეგლებიან და არავის მოსდის აზრად, რომ საქართველოს უკანასკნელ მეფეს ნათლავენ.

2001 წ.

„...დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი“

XVIII საუკუნე — ეს იყო საუკუნე დიდი „ენციკლოპედისტებისა“, სხვაგვარად არც იხსენიებს მათ განათლებული კაცობრიობა. მაინც ვინ იყვნენ „ენციკლოპედისტები“ და რით დაამახსოვრეს თავი ეპოქებს?

ცოდნით, განათლებითა და კულტურით ისე გააამაყეს ევროპელი კაცი, რომ ყველა და ყველაფერი დაავიწყეს, მიწიერი ცოდნა, ხრწნადი განათლება ისე ჩაუნაცვლეს მარადიულ სიბრძნეს, ღვთაებრივ გონს, რომ უღმერთობის შხამით მორწყეს მთელი ევროპა. იგიც, ისედაც ჭეშმარიტების გზას აცდენილი, შეშლილივით წამოიშალა და ის უკანასკნელი იდეური ბურჯები, რომელსაც ეყრდნობოდა, თავადვე შემოიღეწა. მალე სისხლის წვიმებმა იწვიმეს ევროპელების თავზე; განსაკუთრებით კი ის ქვეყანა მოისრა, სადაც აღმოცენდა და გაღვივდა უღმერთობის „განმანათლებლური“ იდეები. საფრანგეთი შეიქნა ყველა ჯანყისა და შფოთის, ყველა ნგრევისა და კაცთმკვლელობის, ყველა რევოლუციისა და ქარიშხლის აკვანი. რევოლუცია რის რევოლუციაა, თუ „დიდი“ არ იქნა და საფრანგეთის რევოლუციაც რუსეთის რევოლუციის დარად „დიდი“ იყო.

„დიდრომ, დალამბერმა, მონტესკიემ, რუსსომ, ვოლტერმა შეასრულეს მათზე დაკისრებული მსოფლიო კულტურულ-ისტორიული მისია“ (ლევან ასათიანი), ანუ ევროპელ ადამიანს საბოლოოდ წაართვეს ღმერთი და ყველაფერ ამის სულისჩამდგმელად ითვლება ვოლტერი, რომელიც დღესაც თავისი სატანური ღიმილით სწყლავს ათასობით ადამიანთა სულს, აცოცხლებს რა კვლავ იდეებს ღმერთისმბრძოლი ფრანგი განმანათლებლებისას.

სულ ორჯერ მიაპყრო თავისი მრუდე მზერა ვოლტერმა საქართველოს, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ წერილში „მსუბუქად“ სულ ორჯერ შეეხო მას: „...მოვლიან ქართველების მანიფესტს, სადაც ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავისი ქალწულები. გულით მწადიან, რომ ეს მართალი გამოდგებოდეს და ყველა მათი მშვენიერი ქალწული თქვენი მამაცი ოფიცრების ხელში გადავიდოდეს; მათ ისინი სავსებით დაიმსახურეს! სილამაზე ჯილდო უნდა ექნეს ვაჟკაცობას“ (ციტატა აღებულია ლ. ასათიანის წიგნიდან „ვოლტერიანობა საქართველოში“).

ვოლტერის ამ სიტყვებმა თვით ზემოთხსენებული წიგნის ავტორიც კი აღაშფოთა — რა ენადვლებოდა ვოლტერს ქართველი ლამაზი ქალწულების ბედით.

მართლაც და, რა ენადვლებოდა ვოლტერს არათუ ქართველი ლამაზი ქალწულების, არამედ მთელი საქართველოს ბედი?! ერთი კია, ერეკლე მეფის შესახებ ყველაფერი იცოდა. ვოლტერს, ეტყობა, შორიდან მოსწონდა აღმოსავლეთში სახელგანთქმული ეს მამაცი ხელმწიფე და ერთ-ერთ თავის წერილში მასზე, როგორც „თავისიანზე“ „დანანებით“ წერს: „...მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ალი-ბეი, თავადი ირაკლი და თავადი ალექსანდრე არ იცნობენ ჩვენებურ ბულვარებზე სეირნობებს, ჩვენს საოცარ კომიკურ ოპერებს, ჩვენს შესანიშნავ ვაკსალებს და არ იციან მენუეტის რიგიანად ცეკვა“ (ეტყობა სულიერი პროვინციალიზმი ყველგან ერთნაირად მჟღავნდება. რა ძალიან წააგავს ვოლტერი ამ ციტატით ილიას ოფიცერს თავისი იზღერის ბალით „მგზავრის წერილებიდან“).

თავად ლევან ასათიანი ამგვარ კომენტარს უკეთებს ამ სიტყვებს: „რასაკვირველია, ეს სიტყვები იყო მხოლოდ სალონური ხუმრობა. განა სცალოდა ამ დროს ირაკლის მენუეტის საცეკვაოდ?.. რას იფიქრებდა ვოლტერი, რომ ამ შორეულ, პროვინციად გადაქცეულ ქვეყანაში, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოაღწევდა მისი აზრები და მოძღვრება, რომ პიონერი და პირველი პროპაგანდისტი მისი იდეებისა იქნებოდა სწორედ „თავადი ირაკლის“ შვილიშვილი დავითი, რომელიც მენუეტსაც კარგად იცეკვებდა, „საოცარი კომიკური ოპერების“ გემოსაც გასინჯავდა და ბოლოს, რაც მთავარია, გატაცებული იქნებოდა თანამედროვე ევროპული რადიკალური იდეებით“.

სულ ორჯერ მიაპყრო თავისი მზერა ვოლტერმა საქართველოს და ეს იყო მზერა ევროპისა — ცივი, გულგრილი, ანგარებიანი, დაუნდობელი და სიბილწით აღსავსე.

ამგვარად, ჯოჯოხეთურმა ლავამ ფრანგული ღვთისმბრძოლი განმანათლებლური იდეებისამ, რომელმაც ევროპის უზაგულში ამოხეთქა, სხვა ქვეყნებამდეც მიაღწია. საქართველოში მისი მხოლოდ რამდენიმე „შხეფი“ დაეცა; ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; „საქართველოში ვოლტერით და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებას არ ჰქონია ისეთი მასობრივი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობის ხასიათი, როგორც რუსეთში. საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ცალკე პიროვნებებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დალიეს თერგის წყალი და საქართველოში მოიტანეს ეპოქის მალეღვებელი იდეები“ (ლ. ასათიანი).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ცალკეულ პიროვნებათაგან, რომელთაც დალიეს თერგის წყალი და საქართველოში მოიტანეს ეპოქის მალეღვებელ-მამფოთებელი იდეები, ერთ-ერთი დავით ბატონიშვილი, ბაგრატიონთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი, სამეფო ტახტის უშუალო მემკვიდრე, საქართველოს მომავალი მეფე იყო, მაშინ ამ იდეების მასშტაბები ერთბაშად გაიზრდება და თავისი დამანგრეველი შედეგებით კატასტროფულ ხასიათს მიიღებს.

მართლმადიდებელი ხელმწიფის ტახტის დამხობას საქართველოში არ დასჭირდა „ლავა“, „შხეფიც“ საკმარისი აღმოჩნდა, რადგან ეს შხეფი „მოხვდა“ ისეთ ადამიანს, არაფრით რომ არ უნდა მოხვედროდა, მისწვდა ისეთ კაცს, არაფრით რომ არ უნდა მისწვდომოდა. იცოდა ბოროტმა, მთელი ერის დასამარცხებლად ვისთვის უნდა გამოედო კაუჭი, ვინ უნდა დაემარცხებინა...

ასე იოლად, ერთი ხელის დაკვრით, გადაწყდა საქართველოდან მართლმადიდებელი ხელმწიფის გაყვანის საკითხი.

მდივან ომან ხერხეულიძის ქალი, ბარბარა ქობულაშვილი გიორგი მეფეზე მოგონებაში მოგვითხობს: „თავსაც დავსწერე და ახლაც ვწერ — დიდი მლოცავი იყო და ამისთვის დიდად

ეწუხებოდა, რომ დავით ბატონიშვილი არ იქცეოდა ისე, როგორც მამას იამებოდა, რადგანაც დავით მემკვიდრე რუსეთში იყო გაზრდილი, მარხვას სჭამდა და სარწმუნოებაზედ სუსტად იყო. გაუგზავნა მეფემ მოციქულად ელიზბარ მდივანი და ფალავანდოვი და ელეფთერი და შეუთვალა: თუ ჩემი სიამოვნება გინდაო, მარხვის ჭამაზედ ხელი აიღეო და ეკლესიაშიც ხშირად იარეო (სხვა მოგონების თანახმად ეს სიტყვებიც შეუთვალა: „შვილო დავით, თურმე ეკლესიას თეატრს ეძახი, ცისკარს სათამაშოს და წირვას წარმოდგენას, ნუ შვრები ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს, მოიქეც და ღმერთი იწამეო“). იმან შემოუთვალა, რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრეს და რაც შენ გწამს, მე გამიწყრესო. ამ სიტყვას ვერ უბედავდა ელიზბარი მეფესა, მაგრამ ძალით ათქმევინა. მაშინ ბრძანა ფსალმუნი ესე: „დადგა იგი ყოველსა გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინა“. დაჩუმდა და აღარაფერი ბრძანა“. (პლ. იოსელიანი. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“). რა მწარე ფიქრს დაუჩუმდა მეფე? ალბათ, გულისხმაყო, რომ მისმა შვილმა, ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრემ, ამ შემონათვალთ საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი; კიდევ ერთხელ შეემუდარა მეფე მოციქულებს: გადაეცით, შეინახოს, მოექცეს... თუ არა და ვერ იმეფებს, დაკარგავს ტახტსა და სამეფოსა ღვთისმშობლის წილხედომილსაო, მაგრამ ამაოდ, ახლადგამომცხვარი ვოლტერიანელი შეუვალი იყო.

ფსალმუნის ის სიტყვები, რომელიც ასეთი სიმწრით წარმოთქვა მეფემ, ოცდამეთხუთმეტე ფსალმუნის კუთვნილებაა. წმიდა მამათა განმარტებით ეს ფსალმუნი კიცხავს ბიწიერად მცხოვრებთ, გვაუწყებს ყოველივეზე განვრცობილ ღვთის განგებას და ამხელს იუდეველთა ამპარტავნებასა და ბოროტებას. ამ ფსალმუნის სიტყვები დაანახებდა სწორედ მეფეს ტახტის მემკვიდრის ღვთისმბრძოლი სულის მთელ სიძაბუნეს და უსჯულოებას: „თქვს უპსულომან ცოდვასა შინა გულსა თვისსა, არა არს შიში ღმრთისაჲ წინაშე თუალთა მისთა. რამეთუ ზაკუვიდა იგი წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა თვისისა და სიძულილისა. სიტყუანი პირისა მისისანი უსჯულოება და ზაკუვა, არა ინება მან გულისგდმის-ყოფა კეთილისა. უსჯულოებაჲ იზრახა საწოლსა ზედა თვისსა, დადგა იგი ყოველსა გზასა არაკეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინა“.

დავით ბატონიშვილს ღვთისუარყოფელი, მონარქთა ტახტების დამამხობელი ვოლტერისა სწამდა. რა ხელეწიფებოდა ვოლტერს ვინმეს დასასჯელად? (შესაცდენად კი უზარმაზარი ძალა აღმოაჩნდა, რადგან მთელი სახელმწიფოები „ააყირავა“), ან როგორ ამინებდა ვოლტერის წყრომით მამას? თავადაც ხომ კარგად უწყოდა, ვისიც სწამდა ღვთის ცხებულს? ღვთის წყრომას როგორ უკადნიერდებოდა? „ — რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრეს და რაც შენ გწამს, მე გამიწყრესო!“ — რა ერქვა ამ შენათვალს, თუ არა დაცინვა? ვის დასცინოდა ბატონიშვილი? თუ მართლა სჯეროდა, რომ ღმერთი არ არსებობდა და არც არავინ გაუწყრებოდა?

„ბოროტი არა მოეწყინაო“ — ამოუოხრია მეფეს და მართლაც, დიდხანს არ მოეწყინა ბოროტი დავითს, სანამ უნანელად საფლავში არ ჩაიყვანა.

„დავით ბატონიშვილში დამთავრდა საქართველოს გვირგვინოსანი მწერლების ტრადიცია, თუმცა თვით დავითი ბოლომდე დარჩა დაკარგული ტახტის მემკვიდრედ, სამაგიეროდ მისი ცხოვრება და ლიტერატურული მუშაობა არის ერთი საინტერესო დასაწყისი ფურცელთაგანი დასავლეთევროპული იდეების გავლენათა ისტორიიდან ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში“ (ლ. ასათიანი).

ამგვარად დასრულდა დავითი, როგორც ტახტის მემკვიდრე და დაიწყო, როგორც კულტურული მოღვაწე, ევროპული იდეების გავლენის ხელშემწყობი საქართველოში...

განა ეს „დასრულება“ ასე უმტკივნეულო იყო? განა ეს „დასრულება“ მხოლოდ ერთი უიღბლო ტახტის მემკვიდრის „დასრულება“ იყო? ეს იყო „დასრულება“ მონარქისტული საქართველოსი, ეს იყო ქვეყნის პატრონის გასვლა ქვეყნიდან. ის შუბლი, რომელზეც მირონი უნდა ეცხო, ვოლტერის უღმერთო იდეებით დაიცხრილა დავითმა. მან თავად დაიწყევლა თავი მამისადმი შენათვალთ, მან თავად თქვა უარი ტახტზე, თავად გამოეცალა ქვეყნისას ესოდენ საჭირო და აუცილებელი. არ მისცა მეფობა ღმერთმა თავის უარისმყოფელს, არ სცხო მირონი თავისი ნებით მტრის მახეში გაბმულს. ჩვენ კიდევ ვიკითხავთ ვინ მოსპო მეფობა საქართველოში? ვინ წაართვა ტახტი ბაგრატიონებს?

სულ მცირე ექსკურსიცი კი იმ ავბედით დროში ცოცხლად წარმოგვიდგინეს ჩამოქცეული სამეფოს მთელ ტრაგედიას:

გიორგი მეფე გარდაცვლილიყო და დაკრძალვას არ ესწრაფოდნენ. მეფის დაკრძალვა და ახალი მეფის გაცხადება ერთი უნდა ყოფილიყო. დავითი არ ჩქარობდა, დასტურს თავისი მეფობისას რუსეთიდან ელოდა. აღარც ძალა ჰქონდა და აღარც ნება, ეტვირთა მეფობა. ოღონდ თავად ეს მან ჯერ არ უწყოდა, ხელ-ფეხი რომ სამუდამოდ შეკვროდა, ჯერ ვერ ხვდებოდა. დრო გადიოდა და სამეფო კარს სულ უფრო და უფრო იპყრობდა სასოწარკვეთა. ვერც სოლომონ ლეონიძის მგზნებარე სიტყვებმა შთაბერა სიცოცხლე დასამხობად განწირულ ტახტის მემკვიდრეს: „დასამწვიდებლად მეფობისა და აღრულობის დასაცხრომლად მოიღეთ ზომა მტკიცე, ჰქმენით რაცა არის საქმნელი. აჩვენეთ ძალი და ძლიერება თქვენი. გმართებთ აწ გმირობა, დუმილი თქვენი და სისუსტე, რაცაღა აძლიერებს თქვენთა მეტოქეთა. დაეც ზარი და მეხი შიშისა მუხრანბატონსა და სარდალსა; ეხლავ უბრძანე, დაიფიცონ მორჩილებაზედ; ნუ ჰკარგავ მეფობასა და ნუ ღუპავ ქვეყანასა. ვინ არის მოცილე მეფობისა? რუსეთმან აღრევე აღგიარა მემკვიდრედ და პირმშობითა გაქვს უფლება მიიღო კვერთხი მეფობისა“... მაგრამ დავითი „ვითარცა ცგლი რაბ დადნის, ეგრე მოესრულნენ“... — გაწბილებულმა დატოვა ლეონიძემ ტახტის მემკვიდრე... თავად სოლომონს ასე ახასიათებს პლატონ იოსელიანი: „მაღლის გონების კაცი. ერთგული ქვეყნისა, დიდი მრჩეველი და უცთომლად შემმეცნებელი საქმისა“. დაათვას დავითმა მისი მაღალი გონი, ერთგულება, დიდი მრჩეველობა და საქმის უცთომელად შემმეცნებლობა?!

შემორიგებული იოანე სარდალიც ამოღო დაშვრა: „ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბრძანე და გამოუცხადებ რუსის აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისე ვიმეფოთ“...

მაგრამ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. დავითმა ყოველივე ლაზარევსა და კოვალენკოს მოახსენა; ასე რომ, იოანე სარდალს რუსებისაგან თავი დასაცავი გაუხდა.

პლატონ იოსელიანზე უკეთ ვერავინ მოგვითხრობს დასამხობად განწირული სამეფო ტახტის ჩუმი აგონიისა და ნელი სიკვდილის შესახებ, იმ საშინელი სასოწარკვეთის შესახებ, რომლითაც მოცული იყო ბაგრატიონთა სამეფო კარი, როცა ყველამ ყველაფერი იცოდა და ყველა ყველაფერს გრძნობდა, მხოლოდ უკანასკნელი გლოვის ზარის შემოკვრას ელოდნენ, რათა საბოლოოდ წაეშინათ თავში ხელები და დაეყარათ თავზე ნაცარი: „მოსრულთა თბილისად მოუტირეს მეფე-დედოფალსა. იხილეს დავით განმგედ მეფობისა და ჯერეთ არა მეფედ. სამეფო ქართველთა ეჩვენებოდათ მათ უდაბნოდ — მოკლებულად მცხოვრებთა ხმაურობისა, მინდვრად — თვალთათვის მიუწვდომელად და დასაღალველად; გვამად კაცისა თავმოკვეთილისა; მზედ ზამთრისა — არა მათობელისა; ტყედ მალნარისად, — ცულისა და მკვიდრად არღა მფშვინავად...“

ნეშტნი მეფობისა და კარისა სამეფობსა ფიქრობულნი ვიდოდნენ ვითარცა აჩრდილნი მთვარისა ღამისა, საუბარი მათი იყო ვითარცა ბგერა ზარისა, ჰაერისა მხოლოდ შემარყვევლისა, საქმე მათი და დაწყებანი საქვეყნოთ, იყვნენ ვითარცა ქსელი ბაბაჭუისა უმჯობესისა, დაბადებდა შფოთსა და უთანხმოებასა.

საბატონი კაცნი შეირყნენ და დაეცნენ, ვითარცა სვეტნი შენობათა ძვრისაგან შერყულნი და დაცემულნი. მაშინ ვითარცა მიძინებულთა განიღვიძეს, იხილეს და იგრძნეს მრავალთა უბედურება თვისი მაშინ, ოდეს მწუხარებამან, ვითარცა მახვილმან განვლო გულთა მათთა. ურჩებამან დაბადა სინანული ესე. ჰამეს კაწახი და მოსჭრნეს კბილნი სიტყვისაებრ წინასწამეტყველისა.“

რუსეთის საიმპერატორო კარმა ისარგებლა დავითის უმოქმედობით, მონური მორჩილებით და არ მისცა მეფობის დასტური, მხოლოდ განმგებლად დაადგინა, შემდეგ კი ეს განმგებლობაც უცერემონიოდ წაართვა.

როგორ საგანგებოდ შემოგვინახა ღმერთმა სოლომონ ლეონიძის, ამ „უუბრძენესი“ კაცის იერემიას გოდებისეული სიტყვები: „დავითმა დაღუპა ოჯახი მეფეთა. გამოსჭრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი“.

საქართველოდან უბატოდ აყრილ და რუსეთისაკენ მიმავალ დავით ბატონიშვილს შიომღვიმის ბერები გამოეგებნენ მცხეთაში. რა განცდა უნდა ჰქონოდათ მათ, როდესაც ბაგრატიონთა დინასტიის უკანასკნელ ნაშვიერს ეთხოვებოდნენ, როდესაც დავით ბატონიშვილს — არშემდგარ მეფეს საქართველოსას, უკანასკნელად უხრიდნენ ქედს. მათზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა რაოდენ სასიცოცხლო იყო ქვეყნისათვის მართლმადიდებელი მირონცხებული მეფე. მათზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, თუ როგორ „სუსტად“ იყო სარწმუნოებაზედ ტახტის მემკვიდრე და რა უნდა ყოფილიყო მთელი ამ ტრაგედიის მიზეზი. მათ შემხედვარეს ერთი კი ამოუკენესია დავითს: „რად ამ უბედურ ხვედრსა შევესწარო“ და თავისი თოფი — „გველტუჩა“ — ბერებისათვის გადაუცია უდაბნოში შესანახად. ალბათ ნიშნად იმისა, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა, რომ ქვეყნის სიძლიერე ბაგრატიონთა იარაღში იყო. დაბრუნდა? ვიღას ახსოვს თოფი „გველტუჩა?“ ასე რომ, „არა ცხონდების მეფე მრავლითა ძალითა თგსითა და გმირი არა განერეს სიმრავლითა ძალისა მისისაბთა“.

ამ შეხვედრის შემდეგ კიდევ 18 წელი იცოცხლა დავით ბატონიშვილმა და ამ 18 წლის მანძილზე არ დამცხრალა მისი ვოლტერიანული შემართება, იოტისოდენადაც არ დასტყობია სინანული მის „ენციკლოპედისტურ“ საქმიანობას.

მაგრამ მართლა ასე ერთ პიროვნებაზე იყო ჩამოკიდებული ქვეყანაში ბაგრატიონ მეფეთა დინასტიის ბედი! რამდენ ტახტის მემკვიდრეს არ უვარგია, მაგრამ შემცვლელი ყოველთვის მოძებნილა.

დავით ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე თავისი ენციკლოპედისტურ-განმანათლებლური იდეებით „კერძო“ იყო, თუ „საზოგადო“? მარტო იდგა, თუ ედგნენ უკან? ვოლტერიანობამ უბრალოდ წარმოაჩინა მისი ანტირელიგიური განწყობილებანი, თუ იგი, როგორც სენი და სახადი, თავისით შეეყარა ტახტის მემკვიდრეს? რამ განაპირობა ტახტის მემკვიდრისაგან ვოლტერიანული იდეების სწრაფი და უაპელაციო მიღება?

წინამდებარე სტატია ამ კითხვებზე პასუხის გაცემის სუსტი მცდელობაა.

„ჩემო ლალა! ყველას მოკითხვა უბრძანეთ, ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემთვის ჰსწუხს“. ეს იყო დავით ბატონიშვილის უკანასკნელი ბარათი, სამშობლოში გამოგზავნილი შორეული პეტერბურგიდან.

ვინ იყო ეს ლალა, რომელსაც ასე დაუფარავად ანდობდა თავის გულის წუხილს ტახტდაკარგული ბატონიშვილი, თავისთავად ბრწყინვალე მხედართმთავარი, მრავალი ბრძოლის მომგები, კრწანისის ომის არტილერისტი, უშიშარი და მამაცი მხედარი, ბრძოლის ველზე გულადად ჩამსვლელი... ბოლოს კი სამეფო გვირგვინის უღონოდ დამკარგავი. როგორ არ დარჩებოდნენ მოქირქილენი და გამკიცხველნი საქართველოში?! ოღონდ ეს ქირქილი ვოლტერის ქირქილის შორეული ეჭო იყო, რასაც ბატონიშვილი, სამწუხაროდ, ვერასოდეს გულისხმავდა.

და მაინც, ვინ იყო ეს ლალა, რომელსაც ასე შინაურულად და თბილად ეხმიანებოდა პეტერბურგიდან ბატონიშვილი? ეს ლალა იყო თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი, „მწიგნობრობისა და მწერლობის მაწავლებელი“ დავით ალექსიშვილი (1745-1824 წ.წ.).

დავით რექტორს გაიოზ რექტორის გარეშე არც იხსენიებენ. ეს უკანასკნელი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო. ერეკლემ ისინი სხვა ქართველ დიდგვაროვან ახალგაზრდებთან ერთად რუსეთში გააგზავნა სასწავლებლად და სწორედ იქ დასნეულდნენ ისინი ევროპული განათლების ძნელად საკურნებელი სენით. გაიოზ და დავით რექტორები ანტონ პირველი კათოლიკოსის (კათოლიკედყოფილის) უსაყვარლესი და მისანდო მოწაფეები იყვნენ და დიდად ეხმარებოდნენ თავიანთ მასწავლებელს მისი მიზნების განხორციელებაში (გაიოზ რექტორი ანტონ პირველს ქართველთა არისტოტელეს ეძახდა, ერეკლე მეორეს კი — ქართველთა ფილიპე მაკედონელს). საბოლოო ჯამში კი მათი ერთობლივი საქმიანობა ნებისთ თუ უნებლიეთ მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის საზიანოდ. მაგრამ მართლმადიდებელმა ეკლესიამ, კლდეზე დაფუძნებულმა, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ შემოუსრავდნენ, ამ შემოტევებს გაუძლო, ქართულმა სახელმწიფოებრიობამ კი ვერ გაუძლო. თუ როგორ, ან როდის გამოეთხარა მას ძირი, ამის შესახებ უტყუარ ცნობას გვაწვდის 1994 წლის საეკლესიო კალენდარი; მეუფე ანანია ჯაფარიძის

ნარკვევში „ქართული ეკლესია მე-18 საუკუნეში“ ვკითხულობთ: „როგორც აღინიშნა, 1755 წელს საეკლესიო კრებამ, რომელმაც ანტონი გადააყენა, მისი კვლავ საკათალიკოსო ტახტზე დაბრუნება მეფეებს ფიციტ აუკრძალა, მაგრამ ერეკლე მეფემ 1763 წელს ანტონი საქართველოში დააბრუნა და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელობა ჩააბარა. ისმის კითხვა: დაარღვია თუ არა ერეკლემ ფიცი ამასთან დაკავშირებით? საინტერესოა, რომ სწორედ 1763 წლის 16 აპრილის წერილში რომის პაპი წერდა ერეკლე მეფეს: **„თქვენ ფიცს ყურს ნუ უდებთ, რადგან ფიცი კეთილის აღსასრულად იქნება და არა ბოროტის. არც ვალდებული ხართ დაიცვათ, თუ დაგიფიციათ, როდესაც მისი საგანი საწინააღმდეგოა ჭეშმარიტებისა, რადგან თქვენი ფიცის საგნის სიბოროტე ყოველ ძალას უსპობს ფიცსა, რომელიც დაგიდევიათ“**. (ინფორმაცია მიხეილ თამარაშვილის წიგნიდან). რა ადვილად „ჭეშმარიტად“ სამართალი რომის პაპმა! ერეკლეს რომის პაპთან უნდა გაერკვია ფიცი კეთილი საქმისთვის დადო თუ ბოროტისათვის? ჭეშმარიტებას ვისთან ეძებდა? აბა რას ეტყოდა კათოლიკური სამყაროს თავი, ფარული კათოლიკობისთვის რომ განდევნე ქვეყნის უპირველესი იერარქი და თან სხვა კათოლიკეებიც მიაყოლე, კარგი საქმე გიქნიაო? ჭეშმარიტებას უცებ განუსაზღვრა და „დაამშვიდა“, ბოროტი საქმისთვის დაგიდია ფიცი და ეგ უკარგავს ძალას მაგ ფიცს, ნუ გეშინიაო. ერეკლეს ფიცის საგანი კი მართლმადიდებლობის დაცვა და ქვეყნისთვის ღვთის რისხვის აცილება იყო; მოუსპო ფიცის საგნის „სიბოროტემ“ ყოველი ძალა ფიცსა? რა თქმა უნდა, არა!

ნუთუ ჭკუის დასაკითხი საქართველოში აღარავინ იყო? მეფეთმოდღვარი ზაქარია გაბაშვილიც იქ იყო და ბესარიონ კათოლიკოსიც, ამბროსი ნეკრესელიც და სხვა, სარწმუნოებაში გაბრძნობილი მამებიც... ერეკლე მაინცდამაინც პაპს დაეკითხა და მისი დასტურით გაულო ჭირს კარები საქართველოში.

აი, აქ გამოინასკვა კრწანისის ტრაგედია, აქ შეშინდა ალა-მაჰმად ხანის პირსისხლიანი ლაშქრობა, აქ შეირყა ბაგრატიონთა ტახტის ბურჯები. ტყუილად არ ეჭირა „ჭანგში“ მღვდელ ზაქარია გაბაშვილს მთელი სინოდი. ეს არ იყო უბრალო „დაჭერა“. ეს იყო დაჭერა ქვეყნისა და ეკლესიისა დაცემისაგან, შეკავება კატასტროფისაგან; ამიტომ დევნიდნენ მას ასეთი გააფთრებითა და სისასტიკით მართლმადიდებლობის მტრები. „მაგრამ საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“ — მეფეთმოდღვარი ზაქარია გაბაშვილი, რომელიც იმოდღვრა მეფე-მამამ და არ იმოდღვრა მეფე-შვილმა, მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტი აღმსარებელი შეიქნა. ზეციურმა, მოხეივმე ეკლესიამ იგი უკვე მიიღო თავის წიაღში, რაზეც მისი ნეტარი აღსასრული მოწმობს. ახლა ჯერი მიწიერ, მებრძოლ ეკლესიაზეა — როდის განადიდებს მას, ვითარცა წმიდანს.

ასე ასცდა ერეკლე მეფეს ფსალმუნის ეს სიტყვები: „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად. ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი, და თესლი წრფელთაჲ იკურთხოს“. მოკლედ - „ჭამეს კაწახი და მოსჭრნეს კბილნი სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა“.

კვლავ პირველ სიტყვაზე მოვიდეთ. ერეკლეს კარზე კათოლიკეები უხვად ჩასახლდნენ. ლიბერალიზმის სულმა თავად გიორგი მეფის პალატებშიც შეაღწია. პადრე ნიკოლა უდულებდა ყოველ დილით ჩაის მეფეს, სიცოცხლის ბოლომდე თავს ადგა და „მეგობრულ“ ხელს უწვდიდა და რაც ყველაზე საშიში აღმოჩნდა — ლიბერალიზმის სულმა ქვეყნის განათლებულ, წარჩინებულ წრეებში თავი ძალზე შინაურულად იგრძნო. გაიოზ და დავით რექტორების მთელი მოღვაწეობა ამის ნათელი დადასტურებაა. მათივე თანამოღვაწე იყო პლატონ იოსელიანის მამა — ეგნატე იოსელიანიც. ეგნატე აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო საქმიანობაში და ბოლოს სასულიერო პირიც გახდა. დავითის მეფობის დასტური რომ იგვიანებდა რუსეთიდან, სომხეთის პატრიარქს ევედრებოდა, შენ აკურთხე დავითი მეფედო. სიკვდილის წინ კი ახლადგარდაცვლილი პაპის სურათს იხუტებდა გულში, ამის სიკვდილთან ერთად საქართველოს მზეც ჩაესვენაო.

ამ სცენას ერეკლეს ქალი თეკლაც ესწრებოდა და არ გაჰკვირვებია, ნეტა პაპის კარგად ყოფნას საქართველოს ბედნიერებასთან რა ხელი აქვსო?! თუმცა ორი წუთის წინ კრწანისის ტრაგედიის მიზეზებს ანალიზებდა და ამბობდა, ყველაფერი ღვთის განგებულებით მოხდა, ღმერთს შეეცოდეთო.

ასე და ამგვარად მომზადდა საქართველოში მეფობის გაუქმება.

კვლავ ბატონიშვილის ლალას — დავით რექტორის მოღვაწეობას დავუბრუნდეთ.

მკვლევარები სიამაყით აღნიშნავენ, თუ როგორ დიდია როლი ანტონ I კათოლიკოსისა და ორივე რექტორისა ფრანგ განმანათლებელ ენციკლოპედისტთა ლიტერატურის რუსულიდან გადმოქართულებისა და მათი იდეების პროპაგანდის საქმეში. ვახტანგ პარკაძე, წიგნში „დავით ბაგრატიონი და მისი შემოკლებული ფისიკა“, მათ შესახებ წერს: „მათი აზროვნება თავისუფალი არ იყო ახალი ევროპული ფილოსოფიისა და მეცნიერების ზეგავლენისაგან. ამრიგად მათ ნიადაგი მოუშნადეს შემდეგი თაობის მოაზროვნეთ — დავით, იოანე, თეიმურაზ ბატონიშვილებს და სხვებს, რომელნიც თავიანთი მსოფლმხედველობითა და ფსიქოლოგიით ახალი ეპოქის ადამიანებს წარმოადგენდნენ“. და ეს „ახალი ეპოქის ადამიანები“ მაინცდამაინც ბატონიშვილები უნდა ყოფილიყვნენ?

თუ როგორ წაადგნენ ისინი თავიანთი მსოფლმხედველობითა და ფსიქოლოგიით თავის ქვეყანას, ჩვენთვის ნათელია. ისინი არათუ თავიანთ ქვეყანას, საკუთარ თავსაც ვერ წაადგნენ.

იმ პერიოდში რუსეთში, როდესაც გაიოზ და დავით რექტორები სწავლობდნენ, დიდი იდეოლოგიური ძვრები ხდებოდა. ეს განსაკუთრებით შეეხო სასკოლო და სამეცნიერო განათლების სფეროს. ჯერ კიდევ 1682 წელს მოსკოვში აღმოცენდა სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია, რომლის ტიპიკონიც შემდგომში გაიოზ რექტორმა 1782 წელს მის მიერ დაარსებულ თელავის სემინარიაში უცვლელად გადმოიტანა. აი, ამ რეგლამენტის ერთ-ერთი პუნქტი:

„გამოარჩიონ უკეთესნი ყოველსა შინა სწავლასა ავტორნი, რომელნი ნამოწმებ არიან დიდებულთა შინა აკადემიათა, მაგალითად პარიჟის ბრძანებათა კოროლის ლუდოვიკ მეათონმეტისა“.

„კოროლ ლუდოვიკოს პარიჟის“ ბრძანებით დადგენილი „უკეთესნი ყოველსა შინა სწავლისა ავტორნი“ ვერაფერ ხეირს დააყრიდნენ მართლმადიდებლური სემინარიის შეგირდებს. შორიდან ისე ჩანს, რომ მათ კიდევ უნდა დაეწყოდათ, რომ მართლმადიდებლური აღმსარებლობისა იყვნენ. პლატონ იოსელიანი წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ წერს: „არიან განკვირვებასა, რად დასუსტდა მორწმუნეობა ესე რუსეთისა მართლმადიდებელთა შორის და რად მოედო სენი ესე ქართველთა ყრმათა. გონებისა განკვირვებასა მათსა ვეცინი, ნუთუ ვერ ხედვენ მიზეზთა?“

მიზეზი კი შემდეგი იყო: რუსეთის მთავრობა სასულიერო სემინარიებში მასწავლებლებად იწვევდა არამართმადიდებელ, მერყევი რწმენის ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ფილოსოფიით ქრისტიანები არ იყვნენ, ანუ არაქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელი იყვნენ და არ ჰქონდათ ის მაღალი გონიერება, ეკლესიური გონი, რითაც შეიმეცნებდნენ სარწმუნოების ნათელს. თავად რა იყვნენ და მათი აღზრდილები რაღა იქნებოდნენ?! ერთი კია, ეს მოწაფეები საბუნებისმეტყველო ცოდნის მიღების შემდეგ უარს ამბობდნენ საღვთო წერილის სიბრძნეზე. მოკლედ, ეს ჩვენი ყმაწვილი კაცები — გაიოზ ბარათაშვილი და დავით ალექსიშვილი სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მაინცდამაინც ამგვარ უგვან მასწავლებლებს ჩაუცვივდნენ ხელში. ვინ იცის, სხვა გარემოებაში და სხვა მასწავლებლებთან რა მრწამსისანი დადგებოდნენ და როგორ გამოადგებოდნენ საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც. ამგვარად დავით და გაიოზ რექტორების მსოფლმხედველობა უშუალოდ ჩამოაყალიბა საქართველოში ანტონ პირველის „საგანმანათლებლო“ სკოლამ და რუსეთში იმავე „საგანმანათლებლო“ მოძრაობამ, რომელსაც პუშკინმა თავის დროზე „ევროპისაკენ ფანჯრის გაჭრა“ უწოდა.

ძვირად დაუჯდა საქართველოს რუსეთში სასწავლებლად გაგზავნილი შვილების ევროპისკენ გაჭრილ ფანჯარაში თავის გაყოფა.

ანტონ I იყო ლალა (ანუ აღმზრდელი) დავით და გაიოზ რექტორებისა, დავით რექტორი კი იყო ლალა არამარტო ერთი ბატონიშვილისა, დავითისა, არამედ დანარჩენებისაც — იოანესი და თეიმურაზისა.

ამგვარად, თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიებმა მიიღეს ესტაფეტა მოსკოვისა და პეტერბურგის სარწმუნოებაგამოცლილი სემინარიებისა.

სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის მსგავსად თელავის სემინარიაშიც ეწყობოდა მოწაფეთა საჯარო გამოსვლები და შემაჯამებელი სხდომები. გარდა ამისა, მოქმედებდა მისი პი-

რველი რექტორის გაიოზის დამუშავებული წესდება, რომელიც სემინარისტებს ნებას აძლევდა კვირაში ერთხელ დასწრებოდნენ „კომედიას, ან სხვა რაიმე საჩინო თამაშობათა“. ამავე წესდებაში ისიც იყო ნათქვამი, რომ სემინარიელებს ყველგან უნდა ხლებოდა მოძღვარ-მასწავლებელი, ან კიდევ სკოლის უფროსი. რაკი ეს ასეა, თელავისა და თბილისის სემინარიების მიერ, ან მათ გარეშე მოწყობილ წარმოდგენებში გაიოზ და დავით რექტორებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. იღებდნენ კიდევც. ე.ი. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად დადიოდნენ თეატრში, ესწრებოდნენ წარმოდგენებს და უკანაც ერთად ბრუნდებოდნენ. მოსწავლეს მასწავლებელი შეიძლება რაიმე როლშიც ეხილა.

ამკარაა, რომ გაიოზ და დავით რექტორების სემინარიებში კულტურული ცხოვრება უფრო დულდა, ვიდრე სასულიერო; ეს სემინარიები კულტურის სემინარიები უფრო იყო, ვიდრე სასულიერო. მკვლევარები ამ სემინარიებს, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს, ისე უცქეროდნენ, საიდანაც ერთნი შეიძლება მსახიობები გამოსულიყვნენ, მეორენი — მწერლები. „თბილისისა და თელავის სემინარიებში რუსეთის სემინარიების მსგავსად ლიტურგიკულ თემაზე აგებული მისტერიები ეწყობოდა. მასში შედიოდა სცენები და ისტორიები ბიბლიური დროიდან: წარმოდგენა სამოთხეზე, ბოროტ სულებზე და ა.შ.“ (ტრიფონ რუხაძე). სხვათაშორის, ვოლტერი იეზუიტთა სასწავლებელში სწავლისას ამგვარ მისტერიაში ადამ და ევას მაცდუნებელი გველის როლს ასრულებდა და ასრულებდა ისეთი სიამოვნებითა და გატაცებით, რომ ყველა შემფოთებული იყო მის გარდა.

თავის დროზე 1767 წელს გაიოზ რექტორმა „დიდი პატივი დასდო“ ქართულ საზოგადოებრივ „აზროვნებას“ და რუსულიდან ქართულად გადმოიღო კარლ ლუდვიგ ბარონ დეპოლნიცას — ფრანგი მწერლის მოგზაურობის ჟანრის თხზულება „მიმოსვლა“, რომელშიც ვრცლადაა აღწერილი ლონდონის, პარიზის, ვენის, მარსელის, ნეაპოლის, ზალცბურგისა და სხვა ევროპული ქალაქების სათეატრო ცხოვრება და კულტურა. ამ წიგნზე დიდი მოთხოვნა იყო და იგი რამდენჯერმე გადაიწერა კიდევ... და იტკობდა ერეკლეს სასახლის კარი, ქართული არისტოკრატია, ევროპის ქალაქების გარყენილებას, ეცნობოდა მიუღებელს და ამკვიდრებდა დაუმკვიდრებელს.

სხვათაშორის, დავით ბატონიშვილის ლალას, დავით რექტორს, ქართული თეატრის მკვლევარები ქართველ „ხუმარებსა და კომედიანტებშიც“ იხსენიებენ. „ხუმარა, კომიკი, მასხარა ფილოსოფოსი“, მეტსახელად „ცუკია“, მსახიობობასაც არ თაკილობდა ქურდის როლი შეესრულებინა და აქებდა კიდევ თავის აქტიურობას: „აქიმებო, ოოლ ოლი, ამას ყივის ოოლოლი, რას მიკითხავ ქურდობას, კარგად მიმდის მე ეს როლი“.

დავით რექტორს არც თუ ისე გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონდა თეატრზე. მშვენივრად ესმოდა მისი „ზნეობრივი“ დანიშნულება; მას ეკუთვნის ეს სიტყვები: „სად არის მრუშთა კარები, თეატრთა გიხმობს ებანი“.

დავით რექტორი, ცუკია ფილოსოფოსი — მასხარა, ურომლისოდაც მაღალ არისტოკრატულ წრეებში ლხინს ლაზათი არ ჰქონდა, ერეკლეს კარზე დიდად მიღებული კაცი იყო. ერეკლეს ასული მარიამი მის შესახებ წერდა: „დაბრძანდი მიწის სკამზედა, გვერდით მოისვი ცუკია“...

აი, ასეთ ადამიანს ებარა ჯერ ბატონიშვილების, შემდეგ კი თელავის სემინარიის შეგირდების სულიერი ცხოვრების მეტად საპასუხისმგებლო საქმე.

1801 წელს რუსულმა მმართველობამ თელავის სემინარია დახურა და როგორც მკვლევარები გულისტკივილით აღნიშნავენ, დავით რექტორს „მრავალი ჭირი და შეურაცხოფა“ მიაცენა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს ჩამოაშორა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ამკარაა, რომ ერეკლეს კარზე თეატრი უკვე „წრიალებდა“ და სცენის მტვერს ყველგან აყენებდა. იგიც ყველა დაუდევრად გამოღებულ კარში აღწევდა.

გაბრიელ მაიორი (ეროვნებით სომეხი) ერეკლეს კარზე წარმოდგენებს მართავდა. გაბრიელ მაიორსაც განათლება რუსეთში მიეღო და იქ „ჩაეყლაპა“ სცენის მტვერი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ერეკლეს სასახლის ახლოს თეატრი გამართა და სპექტაკლების ჩვენება დაიწყო. ბილეთებსაც ჰყიდდა წარწერით: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“. ამ წარმოდგენებს მეფეც და ბატონიშვილებიც ესწრებოდნენ. ერთხელ კათოლიკოსი ანტონ II დასწრებია და წარმოდგენა დაუწუნია. შემდეგ კი საერთოდ აუკრძალავს. რა თეატრი იყო გაბრიელ მაიო-

რის თეატრი? მკვლევართა ერთი აზრით, ეს იყო მისტერიების თეატრი, მეორე აზრით, კი — საერო თეატრი. ალბათ ასეც იყო. აბა, სად უნდა ეთამაშა დავით რექტორს ქურდის როლი? დანამდვილებით ამ თეატრის რეპერტუარის შესახებ არავინ არაფერი იცის, რადგან კომედიანტთა დასი 1795 წელს კრწანისის ტრაგედიას გადაჰყვა. დაიღუპა გაბრიელ მაიორიცი, როგორც მეფის არტილერისტი.

თეატრალურ სულს რომ მოეცვა სასახლის კარი, რომ იგი წლების მანძილზე წამლავდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეკლესიის საზიანო საქმეს აკეთებდა, დავით ბატონიშვილის კადნიერი საქციელიდანაც ჩანს. შვილის მკრეხელობით შეძრული მამა ამოდ ცდილობდა მის შეგონებას: „**შვილო დავით, თურმე ეკლესიას თეატრს ეძახი, ცისკარს სათამაშოს და წირვას წარმოდგენას, ნუ შერები ამისთანა ღვთის გარეგან საქმეს, მოიქეც და ღმერთი იწამე**“. მაგრამ დავითი შეუვალი იყო. ასე ჩაუნაცვლა დავით ბატონიშვილმა მისდა და ჩვენდა საუბედუროდ თავის სულიერ ცხოვრებას თეატრალური ცხოვრება. არადა, ზედმიწევნით იცოდა ბატონიშვილმა წმიდა წერილი — სახარება, სამოციქულო, ფსალმუნები, მაგრამ რა ცოდნა იყო ეს ცოდნა, ცოცხალ რწმენას მოკლებული?!

ჰყავდა დავით ბატონიშვილს კიდევ ერთი ლალა, — ავსტრიელი გეტინგი, ვოლფის ფიზიკის თაყვანისმცემელი. ვის ჩამოჰყვა ეს გეტინგი საქართველოში, ან ვის დარჩა, არავინ იცის. სწორედ მან გაუღვივა ყრმა ბატონიშვილს დაუძლეველი ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი და დააშორა ღვთის სიტყვას, ცოცხალ რწმენას, მოამზადა ნიადაგი ენციკლოპედისტური იდეების მისაღებად. სწორედ აღზრდის მისმა სისტემამ, ქართველებს რომ უცხოვრებდა და ჩინებულად ეჩვენებოდათ, ჩაუგდო მომავალი ტახტის მემკვიდრე კლანჭებში ვოლტერს. შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ყრმა ბატონიშვილი გამოეცალა ხელიდან ჯერ მეფე გიორგის და შემდეგ — მთელ საქართველოს.

ქართველი ისტორიოგრაფები კი ისე მოიხსენებენ დავით ბატონიშვილს, თითქოს მემორიალს უდგამენო: „დავით ბაგრატიონი, XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველი ვოლტერიანელი“.

პეტერბურგშიც მას ვოლტერიანელად იცნობდნენ. მატერიალურად უზრუნველყოფილი, მთლიანად მეცნიერულ საქმიანობას მისცემოდა, საფუძვლიანად შეესწავლა ფიზიკა, მეტაფიზიკა, მეტეოროლოგია, კოსმოგრაფია, ისტორია, ესთეტიკა, სამართალი, მითოლოგია და ფორტიფიკაცია. შეესწავლა რუსული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური ენები და ამ ენებზე დაწერილ შრომებს თარგმნიდა კიდევ. ესწრაფვოდა, რომ საქართველოში ახალგაზრდობა „გაენათლებინა“ და ამ ორომტრიალში ახსოვდა, თუ აღარც ახსოვდა, რომ ტახტი დაკარგა; როგორღა გააცნობიერებდა, სადღა მიეცემოდა გულისხმისყოფა ამდენ ფიზიკას, გეოფიზიკას, მეტეოროლოგიასა და კოსმოგრაფიას შორის, თუ რატომ დაკარგა ტახტი, რატომ ვერ მიაღწია „ცხებულობამდე“. მას მხოლოდ ერთადერთი — „ენციკლოპედისტური“, განმანათლებლური, კვალის დატოვება სურდა თავისი ერის ცხოვრებაში და მართლაც ასე მოხდა. ვახტანგ პარკაძე, მისი „შემოკლებული ფისიკის“ მკვლევარი და გამომცემელი მის შესახებ აღნიშნავს: „იგი სიკვდილამდე ემსახურებოდა მეცნიერებას, ამდენადაც საქართველოს ისტორიაში დავით ბაგრატიონი აღარავის ახსოვს, როგორც მწერალი, ან ტახტის მძიებელი ბატონიშვილი, იგი უფრო ფეოდალური საქართველოს კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა, ქართული უმაღლესი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელია“.

დავით ბატონიშვილი, დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონი, მეფის გიორგის პირმშო, გენერალ-ლეიტენანტი, კავალერი (თავის თავს ამ რეგალიებით მოიხსენიებდა სიცოცხლის ბოლომდე), თავის „შემოკლებულ ფისიკაში“ □72-ში „თოვლისათვის და სეტყვისათვის“ დაწერილებით და მკაცრი სიზუსტით აღწერს თოვლის და სეტყვის წარმოშობის მიზეზებს, თოვლის კრისტალთა ფორმებს, თოვლის გარდაქმნას სეტყვად, რით აიხსნება თოვლისა და სეტყვის სეზონურობა და ა.შ. აღწერილია სეტყვის ერთი შემთხვევა საქართველოში, კერძოდ, თელავში: „წელსა ჩილუჭ (1798) ვიხილე თელავსა სეტყვა ესევეთარი, რომელსა აქვნდა უმეტეს რუბისა (300 გრ) ერთისა სიმძიმედ და რომელმანცა დაამტვრია ლანძენი და ჩარდახი ფიცხელი-სანი და მოკლა ჯოგსა მეფისასა კდ (24) ცხენი“.

უბრალო მორწმუნე არაფილოსოფოსი და არაფიზიკოსი კაცი ამ სიტყვის ხილვისას შეშინებული პირჯვარს გადაიწერდა და იტყოდა, ეს რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს, ყველაფერი ჩვენი ცოდვებისათვის მოგვეწიაო. აბა, თავლებს და ჩარდახებს ჩამტვრეულს და, იმ ჩამტვრეულზე 24 ცხენს, მოკლულს, რომ ნახავდა, რას იტყოდა!

მეცნიერმა ბატონიშვილმა კი ამ ფაქტს, როგორც ბუნების ანომალიას, ისე შეხედა და თავის „ფისიკაში“ საგანგებო საილუსტრაციო ადგილი მიუჩინა.

დაბოლოს, დავით ბატონიშვილმა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ გადაწერისას სხვა მრავალ უცხო სიტყვასთან ერთად (რომელიც მისივე თქმით საბას არც კი გაეგონა) ლექსიკონს ერთი სიტყვაც დაუმატა: „დემოკრატია“ — „ესე არს სადაცა მმართველობაში მდებართა ერთა და მალალთა აქვს ერთი ხმა, რომელთაცა ძალუძთ სჯულისა და სხვათა სამმართველთა საქმეთა გამოცვლაცა და დადგინებაცა.“

ასე შემოიყვანა პირველად დავით ბატონიშვილმა დემოკრატიის ცნება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. იგი ბოლომდე დარჩა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოტრფილედ, აქებდა ბონაპარტეს და არ უღალატია ვოლტერისათვის.

ასე მიიყვანა ყოველმა გზამ არაკეთილმა საქართველოს უკანასკნელი მეფის პირშეო ბოროტის არ მოწყინებამდე, ხოლო იქიდან — სამარემდე, ისე, რომ ვერც გაიგო ოცდამეთხუთმეტე ფსალმუნის ეს მაცხოვრებელი სიტყვები: „უფალო, ზეცას არს წყალობაბ შენი და ჭეშმარიტებაბ შენი ვიდრე ღრუბელთამდე; სიმართლენი შენნი ვითარცა მთანი ღმრთისანი და განკითხვანი შენნი უფსკრულ მრავალ კაცთა და საცხოვარსა აცხოვნებ შენ, უფალო!“